ავტობიოგრაფია

მე, თეონა კობიაშვილი, დავიბადე 1986 წლის 26 მაისს, ქ. თელავში.

2003 წელს დავამთავრე ქ. თელავის მე-4 საშუალო სკოლა.

2003-2007 წლებში ვსწავლობდი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე, სამართალმცოდნეობის სპეციალობით. 2007 წელს მომენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

2015 წელს სწავლა გავაგრძელე სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 2017 წელს და მომენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

2007-2008 წლებში გავიარე სტაჟირება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.

2008 წელს ჩავაბარე ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდა.

2008 წლის 9 დეკემბრიდან 2016 წლის 25 იანვრამდე ვმუშაობდი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ საქალაქო სამსახურში, ადმინისტრაციული დავების განხილვისა და სამართლებრივი აქტების მომზადების განყოფილებაში, სხვადასხვა თანამდებობაზე.

2016 წლის 25 იანვრიდან 2016 წლის 30 მაისამდე დასაქმებული ვიყავი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის სამართლებრივი აქტების მომზადების განყოფილებაში, იურისტის თანამდებობაზე.

2016 წლის 31 მაისიდან 2023 წლის 11 ივლისამდე დაკავებული მქონდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მოსამართლის მწერალი თანაშემწის თანამდებობა.

2019 წელს ჩავაბარე მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა.

2023-2024 წლებში იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გავიარე იუსტიციის მსმენელთა სასწავლო კურსი.

თეონა კობიაშვილი